

პროექტი

სოფლის მეურნეობის დარგის კლიმატის ცვლილებების
თვალსაზრისით ადაპტაციის საკითხი წალკის მუნიციპალიტეტში

საპილოტე პროექტების განხორციელებისთვის სახელმძღვანელო
დოკუმენტი

დოკუმენტი მომზადდა წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) მიერ.
დოკუმენტი განახლდება, მთლიანად ან ნაწილობრივ, საჭიროების შემთხვევაში.

2022 წელი

შინაარსი

1. პროექტის შესახებ.....	3
2. საინფორმაციო კამპანია	4
3. კონკურსში მონაწილეობა	4
4. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება	4
5. იდეების შეფასებისა და შერჩევის პროცესი.....	6
6. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება.....	6

1. პროექტის შესახებ

კლიმატის ცვლილებებიდან გამომდინარე, წალკა ერთ-ერთი მოწყვლადი მუნიციპალიტეტია, რადგან აქ მიწების 80% რწყვას საჭიროებს. თუმცა, მნიშვნელოვანია ის პოტენციალი, რომელიც მუნიციპალიტეტს აქვს მისი მთლიანი გასარწყავებისთვის. უფრო მნიშვნელოვანია მაღალი ტემპერატურული დარტყმები, რომლის დასაძლევადაც საჭიროა, დაიწყოს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, როგორცაა, მაგალითად: დანვითებით მორწყვა, სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების გამოყენება, ასევე, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია, ახალი ჯიშების კულტურების მოყვანა, თესლბრუნვის ფართოდ დანერგვა და სხვა საადაპტაციო ღონისძიებები. დღეის მდგომარეობით კი, წალკაში მსგავსი თანამედროვე კლიმატგონივრული გადაწყვეტები სოფლის მეურნეობის მიმართულებით დანერგილი არ არის; არ არსებობს ერთიანი ხედვა და არ არის შესაბამისი ცოდნა, რომ მიღებულ იქნეს და დაინერგოს კლიმატგონივრული გადაწყვეტილებები სოფლის მეურნეობის დარგში.

აღნიშნული პროექტის ძირითადი მიზანია სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა წალკის მუნიციპალიტეტის მოწყვლადი მოსახლეობისათვის, მდგრადი კლიმატგონივრული ცოდნისა და პრაქტიკის პოპულარიზაციისა და დანერგვის გზით. პროექტის კონკრეტული მიზნებია:

- (i) წალკის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებების სცენარებზე დაყრდნობით, კლიმატისადმი მედეგი და გარემოსადმი მეგობრული გეგმის შემუშავება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის;
- (ii) კლიმატის ცვლილებისადმი საადაპტაციო ღონისძიებების შემუშავება და რეკომენდაციების გამოვლენა მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვისთვის;
- (iii) სადემოსტრაციო პროექტების განხორციელება და თანამედროვე მიდგომებზე ადგილობრივი ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ცოდნის ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება.

პროექტს ახორციელებს წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), გაეროს მცირეს საგრანტო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.

საპილოტე პროექტების განხორციელების მიზანი

საპილოტე პროექტების განხორციელების მიზანია, აღნიშნული პროექტის ძირითადი მიზნებისა და სოფლის მეურნეობის დარგის კლიმატის ცვლილებების თვალსაზრისით ადაპტაციის საკითხების კუთხით შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, წალკის ადგილობრივი ფერმერებისათვის ცნობიერების დონის ამაღლება და კლიმატგონივრული მექანიზმების დანერგვისა და განხორციელების მიზნით, კონკრეტული პრაქტიკისა და გამოცდილების ჩვენება/დემონსტრაცია.

2. საინფორმაციო კამპანია

ამ შესაძლებლობის შესახებ წალკის ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ხდება შემდეგი საინფორმაციო კამპანიის ფორმებით:

- 1) პირისპირ შეხვედრები
- 2) ინფორმაციის გავრცელება წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) ოფიციალურ ვებგვერდზე: www.tsalkalag.ge
- 3) წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) FB გვერდზე: <https://www.facebook.com/EmbraceTsalka>

3. კონკურსში მონაწილეობა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს შემდეგ სუბიექტებს:

წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერი (სოფლის მეურნეობის დარგი: მებალეობა, მებოსტნეობა, მემცენარეობა), რომელიც აღნიშნულ საქმიანობას ეწევა მუნიციპალიტეტში.

საპილოტე პროექტის დაფინანსების ოდენობა და მისი ტექნიკური განხორციელება

საპილოტე პროექტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 12,000 ამერიკულ დოლარს;

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა ერთი პროექტისთვის შეადგენს 3,000 ამერიკულ დოლარს;

თითოეული პროექტის მიერ მაქსიმალური ბიუჯეტის ათვისების შემთხვევაში, სულ დაფინანსდება 3 პროექტი.

პროექტის ტექნიკური და ფინანსური განხორციელება მოხდება ბენეფიციარის მიერ და ანგარიშვალდებული იქნება დონორთან/დამფინანსებელთან წარმოსადგენი საბუთებისა და ადგილზე მონიტორინგის განხორციელების ნაწილში

ან

პროექტის ტექნიკურ და ფინანსურ განხორციელებას უზრუნველყოფს დონორი ორგანიზაცია და საბოლოო პროდუქტს გადასცემს ბენეფიციარს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

აღნიშნული საკითხი გადაწყდება ინდივიდუალურად შერჩეულ ბენეფიციართან მოლაპარაკებისა და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

4. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება

საგრანტო კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

I ეტაპი - იდეების მიღება

II ეტაპი - ადგილზე მონიტორინგი

III ეტაპი - გასაუბრება/შერჩევა

განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე.

I ეტაპი - იდეების მიღება

შევსებული იდეის ფორმის წარდგენა უნდა მოხდეს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
info@tsalkalag.ge

* ელ. ფოსტაზე იდეის წარდგენისას აუცილებელია განმცხადებელმა სათაურის ველში მიუთითოს შემდეგი: „საპილოტე პროექტი 2022“

** ელ. ფოსტის მეშვეობით განაცხადის პაკეტის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ერთი მეილით.

*** ელექტრონული ფორმით განაცხადები მიიღება ხელმოწერილი.

განაცხადის ფორმების შევსებასა და წარდგენასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე დაინტერესებულ პირებს კონსულტაციები გაეწევათ განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვამდე ნალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ დისტანციურად.

საკონტაქტო ინფორმაცია: +995 599 54 75 78 - ცეზარ ხორგუანი

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 31 აგვისტო, 18:00 საათი.

* ვადაგადაცილებით წარმოდგენილი ან/და ხელით შევსებული საპროექტო იდეები არ მიიღება.

** იდეების შეფასება მოხდება პროექტის გუნდის და მოწვეული ექსპერტის მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

*** კომისიის მიერ იდეის მოწონების შემთხვევაში, შესაძლოა ბენეფიციარს მიეცეს უკუკავშირი და გონივრული ვადა, იდეის დახვეწისა და განახლებული დოკუმენტის წარმოდგენის.

II ეტაპი - ადგილზე მონიტორინგი

პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, მეორე ეტაპზე გადასულ აპლიკანტებთან შეთანხმებით, დაიგეგმება და განხორციელდება პოტენციური დასაფინანსებელი პროექტების ადგილზე მონიტორინგი.

III ეტაპი - გასაუბრება/შერჩევა

კომისია, შემოსულ განაცხადებზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების მიზნით, პოტენციურ ბენეფიციარებთან გამართავს პირისპირ გასაუბრებას. გასაუბრების დრო და ადგილი განმცხადებელს ეცნობება წინასწარ ან ჩატარდება ადგილზე მონიტორინგის დროს.

5. იდეების შეფასებისა და შერჩევის პროცესი

განაცხადების შერჩევასა და შეფასებას ახდენს კომისია, რომელიც დაკომლევებული იქნება პროექტის გუნდის წევრებითა და მოწვეული ექსპერტით.

განაცხადის შეფასება განხორციელდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით:

1. განაცხადით წარმოდგენილი იდეის კავშირი პროექტის ფარგლებში შემუშავებული კლიმატგონივრული სამოქმედო გეგმით განვირცხვ რეკომენდაციებთან;
2. იდეის, პრობლემის აღწერა: რამდენად აქტუალურია წარმოდგენილი იდეა/პრობლემა კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის თვალსაზრისით;
3. პროექტი უნდა განხორციელდეს წალკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში;
4. განმცხადებლის სტატუსი უნდა შეესაბამებოდეს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტების სტატუსს;
5. ადგილმდებარეობა, სადაც უნდა განხორციელდეს პროექტი;
6. პოტენციური ბენეფიციარის გამოცდილება მსგავსი სადემონსტრაციო პროექტების განხორციელების კუთხით და მზაობა ამ მიმართულებით დონორთან თანამშრომლობაზე.
7. ხელშემწყობი წინაპირობები, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გარემო ფაქტორები და რესურსები (ადამიანური, ტექნიკური და ა.შ.);
8. პროექტის ფინანსური დაგეგმარება (ბიუჯეტი - ხარჯების რეალისტური გათვლა);
9. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი: პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 (ოთხი) თვეს.
10. პროექტის განხორციელებით მიღებული შედეგები;
11. პროექტის მდგრადობა / სიცოცხლისუნარიანობა;

კრიტერიუმების გათვალისწინებით, შერჩევის შედეგები ეცნობება განმცხადებლებს დადებითი პასუხის შემთხვევაში.

განაცხადის შეფასების პროცესში საგრანტო კომისია უფლებამოსილია, განაცხადში მოყვანილი გარემოებების გადამოწმების მიზნით მოთხოვოს განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ან/და განმარტებები კონკრეტულ საკითხზე, ასევე ფაქტებისა და გარემოებების ადგილზე გადამოწმება.

6. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება

პროექტის მიმდინარეობისას ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემმოწმებლისთვის პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის დროს. ზემოხსენებული დოკუმენტაცია არ გასაჯაროვდება, თუ მასში არ შედის კანონითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევები. პირდაპირი ბენეფიციარი აწარმოებს და წარმოადგენს რეგულარულ საბუღალტრო ანგარიშგებას, ახორციელებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება მონიტორინგის განსახორციელებლად 3 წლის განმავლობაში. პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტები უნდა დარჩეს მოქმედი და ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს განმცხადებლის მიერ შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში.

ნალკის LAG-ის თხოვნის საფუძველზე, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს საგრანტო პროექტის ჩვენება დონორისათვის თუ სხვა დაინტერესებული მხარისათვის ინფორმაციის მიღებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.